2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2026 წლის დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის

სხდომის ოქმი N 2

ქალაქი დმანისი **23.07.2025 წ.**

2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2026 წლის დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა ჩატარდა 2025 წლის 23 ივლისს, მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი - ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა N41-ში.

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეულ იქნა „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 2 მაისის ბრძანების №.108.108251223 საფუძველზე.

„დმანისის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 2 მაისის ბრძანების №108.108251223 შესაბამისად სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს - მუნიციპალიტეტის მერი პირველი მოადგილე - კახა პეტრიაშვილი

სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებიან:

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე კახა პეტრიაშვილი

სამუშაო ჯგუფის წევრები: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ა(ა)იპების ხელმძღვანელები.

დღის წესრიგი:

1. **დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშის წარდგენა**

მომხსენებელი: დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - თემურ ტატულაშვილი.

2. **დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტების ძირითადი პარამეტრებისა და საბიუჯეტო განაცხადის დანართების განხილვა**

მომხსენებელი: დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - თემურ ტატულაშვილი.

სამუშაო ჯგუფმა მოისმინა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წარდმოდგენილი დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის

ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში. მომხსენებელმა ისაუბრა ააიპების მეორე კვარტლის ნაშთების შესახებ და გასცა ხარვეზების აღმოფხვრისათვის საჭირო შემდგომი რეკომენდაციები.

ასევე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა მოკლედ წარუდგინა ჯგუფს ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების შესახებ და მიმოიხილა საბიუჯეტო განაცხადის დანართები. ჯგუფის წევრებს მიეცათ დავლება აღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებით განახორციელონ 2026 წლის ბიუჯეტის ფორმირება წარმოდგენილი დანართების შესაბამისად და წარმოადგინონ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან არაუგვიანეს მიმდინარე წლის 5 აგვისტოს.

სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა, რომ შესრულებულ იქნას საფინანსო-სამსახურის ხელმძღვანელის მიერ გაცემული რეკომენდაციები და დავალება.

სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირდა, სხვა საკითხები არ განხილულა.

სხდომის დასრულების დრო: 23/07/2025 11:50 სთ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი:

მერის პირველი მოადგილე კახა პეტრიაშვილი

სამუშაო ჯგუფის მდივანი

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი ნინო ომიაძე